№ 10

ოქტომბერი 2019წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება

გვ:2

გერმანულ დელეგაციას ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიამ უმასპინძლა

გვ:3

სოფელ ბალიჭში ახალი სკვერი გაიხსნა

გვ:2

მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება

ღია შეხვედრების ფარგლებში, მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაცია გრძელდება, ამჯერად ხელისუფლების წარმომადგენლები, ბოლნისის მუნიციპალიტეტში რაქისუბანის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების ხატისოფლის, ვანათის, სამტრედოს და რაქისუბანის მცხოვრებლებს შეხვდნენ. ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულმა, საქართველოს პარლამენტში ბოლნისის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, საკრებულოს თავმჯდომარემ, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა, ღია დიალოგის ფარგლებში, განიხილეს მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები, მოისმინეს ის საჭიროებები, რომლის მოგვარებასაც ადგილობრივები ითხოვენ და იმსჯელეს პრობლემების გადაჭრის გზებზე. მოსახლეობამ ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ინფორმაცია სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების შესახებაც მიიღო.

რაქისუბანის ადმინისტრაციულ თემში მიმდინარე წელს, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, 70 255 ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროგრამით ისარგებლა 353 ბენეფიციარმა, ამავე სოფლებში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანი აუნაზღაურდა 17 ოჯახს, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 28 863 ლარი გაიცა.

სოფელ ბალიჭში ახალი სკვერი გაიხსნა

,,არემჯის" 2019 წლის ინფრასტრუქტურული პროგრამის ფარგლებში სოფელ ბალიჭში ახალი დასასვენებელი სკვერი მოეწყო. სამშენებლო სამუშაოების შედეგად სრულად მოსწორდა და დასუფთავდა ყოფილი კულტურის სახლის ტერიტორია, რომელიც შემოიღობა. ადგილზე მოეწყო სასეირნო ბილიკები, გარე განათება და დასასვენებელი ზონა. ასევე რესტავრაცია ჩაუტარდა სკვერის ტერიტორიაზე არსებულ სამამულო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალს და დამხმარე შენობა-ნაგებობას. სკვერის გახსნას კომპანიის წარმომადგენლები, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი და სოფლის მოსახლეობა დაესწრნენ. ახალ დასასვენებელ სკვერში მისულ სტუმრებს, ადგილობრივ მოსახლეობას, ლამაზ გარემოსთან ერთად, დაბა კაზრეთის ანსამბლი ,,მადნეული" ქართული ცეკვით შეხვდა. პროექტი ,,არემჯის" კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა და მისი ღირებულება 90 000 ლარს შეადგენს.

ტურნირი ფეხბურთში

ოქტომბრის თვის 9 რიცხვიდან 15 რიცხვის ჩათვლით ცურტავის საჯარო სკოლის მოედანზე ჩატარდა ქვემო ქართლის პირველობა „ოქროს შემოდგომის" ტურნირი მინი ფეხბურთში 2009-2010 წლიან ფეხბურთელებს შორის. ამ ტურნირში მონაწილეობას იღებდა 14 გუნდი დმანისის, ბოლნისის, მარნეულის, თეთრიწყაროს და გარდაბნის მუნიციპალიტეტიდან.

ტურნირში ცურტავის საჯარო სკოლის გუნდმა „არზუმ" და ნახიდურის გუნდმა „ხრამმა" ყველა შეხვედრა მოიგო და გავიდა ფინალში. ფინალში გუნდმა „არზუმ" 1:0 მოუგო ნახიდურის გუნდს „ხრამს" და გახდა ამ ტურნირის ჩემპიონი. მესამე ადგილზე გავიდა ქვემო ბოლნისის გუნდი „იმედი". ხოლო მეოთხე ადგილზე თელეთის გუნდი „შავნაბადა".

ტურნირში კარგი თამაშით თავი გამოიჩინეს: სანან, სინან, ქანან, ნაჰიდ გასანოვებმა. აგრეთვე ჰამლეტ, სახილ მამედოვებმა, რაშიდ, ელიარ გუსეინოვებმა, ადილ არაბოვმა, თუნან ნასიბოვმა, საბით, სინან მუსაევებმა და ალი ალექპეროვმა.

ბოლნისის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მხრიდან გამარჯვებულებს გადაეცათ მედლები, დიპლომები, თასები, ფასიანი საჩუქრები და ბურთები.

გერმანულ დელეგაციას ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიამ უმასპინძლა

გერმანელი სტუმრების ფოტო ობიექტივში მოხვედრილ ბოლნისს მალე ბავარიის რესპუბლიკის მოქალაქეები ნახავენ, სწორედ ქართულ-გერმანული ურთიერთობების მეტად გაღრმავებას ემსახურებოდა დელეგაციის სტუმრობა, რომელსაც ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიამ უმასპინძლა. მათ ჩამოსვლას საფუძვლად გასულ წელს „ბოლნის-ქალაქობას“ ბენდის „რაინჰარდ რაისნერის“ ხელმძღვანელის

სტუმრობა დაედო, ქართველი ხალხის სითბოთი მოხიბლულმა 50 კაციანი ჯგუფით გადაწყვიტა კვლავ სწვეოდა ბოლნისს.

მთავარი ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე დელეგაციის წევრებისთვის მოეწყო სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა, ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურული ძეგლების ფოტოექსპოზიცია, ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლის მცირე პერფორმანსი, ბიბლიოთეკის შიდა სივრცეში კი გერმანელი კოლონისტების ამსახველი კადრები იყო წარმოდგენილი, ბენდის წევრებისთვის ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ბოლნელამ“ კონცერტი გამართა, რომელსაც დელეგაციის ოვაციები მოჰყვა.

სტუმრებმა ისტორიული ძეგლები მონახულეს და სიონის საკათედრო ტაძრის იუბილარ წინამძღვარს დაბადების დღე სიმღერით მიულოცეს. კულტურული ურთიერთობების გაცვლის მიზნით ანსამბლმა „ორბელმა“ და ბენდმა „რაიჰარდ რაისნერმა“ რამდენიმე სიმღერა შეასრულეს.

დელეგაციის წევრებმა ძველი გერმანული უბნები და მარნები მოინახულეს. ერთდღიანი ვიზიტი ბოლნისში ბენდის კონცერტით დასრულდა.

აქ მთელი საქართველო გაერთიანდა

ქართლი, კახეთი, იმერეთი, სვანეთი... საქართველოს კუთხეები თავისი ტრადიციებით, ქალაქ ბოლნისის ს.ს. ორბელიანის სახელობის №1 საჯარო სკოლამ, წელიწადის ყველაზე ფერადი თვე, „შემოდგომის ზეიმით“ გააცილა. სკოლის ეზოში მთელი საქართველო გაერთიანდა და მხიარული შეძახილებით, ლექსითა და ცეკვა-სიმღერით, ტრადიციული კერძების დაგემოვნებითა და ჩურჩხელების ამოვლების ცერემონიალით, უჩვეულო სანახაობა შეიქმნა. ღონისძიების სამზადისში ჩართული იყო მთელი სკოლა, როგორც თავად მოსწავლეები, ასევე მათი მშობლები და პედაგოგები. სკოლის დირექტორი და მისი მოადგილე ყველა კლასის მიერ ორგანიზებულ კუთხესთან მივიდნენ და საშემოდგომო ზეიმთან დაკავშირებული აქტივობა შეაფასეს.

ირმა წაქაძე, ქალაქ ბოლნისის №1 საჯარო სკოლის მენეჯერი:

-ტრადიციულად, აღვნიშნეთ „შემოდგომის ზეიმი“, რომელიც იყო არა მარტო მოსწავლეებისთვის, არამედ უფროსებისთვის. დილიდანვე ჟრიამული იყო სკოლაში, მოსწავლეები და მშობლები ერთობლივად ემზადებოდნენ ამ დღისთვის. დიდი სურვილი მაქვს სკოლა იყოს საინტერესო მოსწავლეებისთვის. 16 ოქტომბერს სკოლაში შეიქმნა მოსწავლეთა თვითმმართველობა და ყველას მიეცა დავალება, კრეატიული იდეები მოეწოდებინათ. მიმდინარე წელი ძალიან ნაყოფიერი გვაქვს, ყოველთვის რაღაც საინტერესო ხდება. ჩავატარეთ „შემოდგომის ზეიმი“, მომდევნო პარასკევისთვის ვგეგმავთ, ლამაზი ღონისძიება ჩავატაროთ იმ 7 პედაგოგისთვის, ვინც დატოვა სკოლა.

ნანა ქობულაძე, ისტორიის პედაგოგი:

-ძალიან სასიხარულოა არა მარტო ბავშვებისთვის, უფროსებისთვისაც, მინდა რომ ჩვენ სკოლაში, ყოველთვის ასეთი სასიხარულო, სადღესასწაულო განწყობა სუფევდეს.

კარინა დევნოზაშვილი, ფილოლოგი:

-ასეთი აქტივობები არაჩვეულებრივია ბავშვებისთვის, სიხარულის, ბედნიერების მომტანი. მსგავსი დღეები, ხშირად უნდა იყოს სკოლაში, ასეთ დროს ბავშვები უახლოვდებიან ერთმანეთს, სწავლობენ ურთიერთობას, მოთმინების უნარს, იმუშავებენ საზოგადოებრივ უნარ-ჩვევებს.

ოთიკო ვარდიაშვილი, მასწავლებელი:

-ულამაზესი ღონისძიებაა, მადლობა ბავშვებს, სკოლას, მშობლებს, ძალიან გაგვილამაზეს დღე მასწავლებლებსაც, აუცილებელია ასეთი ღონისძიებები იმიტომ, რომ ეცნობიან და მეტი სიახლოვეა სამშობლოსთან.

აიდა სოლოიანი, მასწავლებელი:

-ასეთი აქტივობები ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია, ძალიან კარგი დღეა, ამინდიც შესანიშნავია, მიხარია, მრავალ შემოდგომას დავესწროთ ყველა ერთად.

,,ბოლნისის საპატიო მოქალაქის წოდება ყველაზე დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა“

,,ბოლნისის საპატიო მოქალაქის წოდება ჩემთვის ყველაზე დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა, ეს ნიშნავს იმას, რომ უყვარხარ და პატივს გცემენ. ცხოვრება პატიოსან შრომაში გავატარე, ყოველთვის ვცდილობდი სიკეთე მეკეთებინა, გვერდში დავდგომოდი, ვისაც დახმარება სჭირდებოდა, ალბათ ეს შეამჩნია, ვინც ჩათვალა, რომ ეს წოდება მეტარებინა“. ასე დაიწყო საუბარი ბოლნისის საპატიო მოქალაქემ, 80 წლის ვაჟა ახვლედიანმა, რომელმაც სტუმართმოყვარე ოჯახში სიამოვნებით გვიმასპინძლა.

როგორც ბატონი ვაჟა გვიამბობს, ბოლნისში არ დადის კაცი, ვინც მასზე ცუდს იტყვის, მთელი ცხოვრება პატიოსან შრომაში გაატარა, დღესაც ისეთივე ენერგიული და შრომისმოყვარეა, როგორც ახალგაზრდობაში. არ უყვარს საკუთარ თავზე საუბარი, ამიტომ, ოჯახის წევრების დახმარებით, გვიამბო საკუთარი ისტორია, რათა ჩვენმა მკითხველმა უფრო დეტალურად გაიცნოს თუ ვინ არის, რა ღირსებებით გამოირჩევა ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლთან არსებული ფოლკლორული ანსამბლ „სიონის“ წევრი, ვაჟა ახვლედიანი.

ვაჟა ახვლედიანი დაიბადა 1940 წლის 18 აპრილს ცაგერის რაიონის სოფელ ქვედა აღვში, „გაჭირვება იყო, მამა ომში ისე წავიდა, რომ არ მახსოვს, მე და ჩემს ძმას დედა გვზრდიდა, პურს ისეთი სიხარულით მივირთმევდით, როგორც დღევანდელი ბავშვი შოკოლადს. ექვს წლამდე სოფელში ვიზრდებოდით, მიუხედავად გაჭირვებისა, მეტად თბილი ურთიერთობები გვქონდა, მეტი პატივისცემა იყო ერთმანეთის მიმართ“. 1946 წელს, მამა ომიდან დაბრუნდა, ძმებს ბოლნისში ესტუმრა, მოეწონა ადგილი და ცოლ-შვილით საცხოვრებლად გადმოვიდა, სააკაძის ქუჩაზე დასახლდა, როგორც ვაჟა ბაბუა გვიამბობს, აქ კიდევ სამი დედმამიშვილი შეეძინათ. „აქ რომ ჩამოვედით, ყველაფერი გვაკვირვებდა, მატარებელი, მანქანები, სხვანაირი იყო ბოლნისი, მეტად განვითარებული, ჩვენს უბანში აზერბაიჯანელები და სომხები ცხოვრობდნენ, ძალიან თბილი ურთიერთობა გვქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს მეგობრებს დავშორდი, აქაურობას მალე შევეგუე, ვისწავლე ენები, რომელიც შემდეგ ძალიან გამომადგა“.

დაამთავრა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პირველი საშუალო სკოლა, სადაც აქტიურობით გამოირჩეოდა, იყო წარჩინებული მოსწავლე, სანიმუშო ყოფაქცევის, მისი სურათი დაფაზე წლების განმავლობაში იყო გამოკრული, დადიოდა სპორტზე, თვითშემოქმედების მხატვრულ წრეებზე, როგორც თავად იხსენებს, სკოლის გაზეთი, მისი მხატვრული გაფორმებით იბეჭდებოდა. „სხვანაირი ბავშვობა გვქონდა, ვაწყობდით სპორტულ შეჯიბრებებს, დავდიოდი სიმღერაზე, ძალიან პატარა ასაკიდან ვმღეროდი, სიმღერის გარეშე არ შემიძლია, გიხარია - მღერი, გაწუხებს რამე - სიმღერა გავიწყებს, ჩართული ვიყავი ღონისძიებებში. სკოლის დამთავრების შემდეგ სიმღერას არ გავყევი, პროფესია უნდა ამერჩია, სიმღერით თავს ვერ ირჩენდი, ამიტომ ჩავაბარე ბოლნისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, მეხილეობა-მევენახეობა-მებოსტნეობის სპეციალობაზე, რომელიც წარმატებით დავამთავრე. მახსოვს ბავშვობაში, მასწავლებლის დახმარებით, სპექტაკლი „ნაცარქექია“ დავდგით, სწორედ ჩემი ძალისხმევით, სასწავლებელში სტუდენტების ჩართულობით, გავაცოცხლეთ ეს სპექტაკლი, რომლითაც მოვიარეთ სოფლები, არ მიყვარს უმოქმედობა, ვცდილობ პატიოსანი შრომით ვიცხოვრო“.

1967 წელს მუშაობა დაიწყო სოფელ ბალიჭის კოლმეურნეობაში აგრონომად „ძალიან მიყვარს ხალხთან ურთიერთობა, ვცდილობ სიყვარულით ვაკეთო საქმე, არავის ვაწყენინო, ასე ვიცხოვრე, ჩემს გამოცდილებას ყოველთვის სხვებს ვუზიარებდი, ვასწავლიდი, ფიზიკურადაც და ფინანსურადაც ვეხმარებოდი მათ, ვისაც ეს სჭირდებოდა“. მიუხედავად სხვადასხვა სამსახურებში მუშაობისა, სიმღერისთვის თავი არასდროს დაუნებებია, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობის პერიოდში, თავისუფალ დროს დადიოდა თეატრზე და სიმღერაზე. შემდეგ სამუშაოდ ქალაქ ვოლოგდაში წავიდა, გზათა მშენებლობის სამმართველოში, ამ წლებს ტკბილად იხსენებს, ამბობს, რომ არც იქ გაჩერებულა, ვაზის, ყურძნისა და სიმღერის გარეშე ვერ შეძლო ყოფნა, ღვინოსაც წურავდა და სხვა ქვეყანაში საზოგადოებას, სიმღერებით და ტრადიციული სუფრით აცნობდა საქართველოს. ბოლნისში დაბრუნებული წლების მანძილზე სხვადასხვა სამსახურში

მუშაობდა, თუმცა საყვარელი საქმიანობისთვის თავი არასდროს დაუნებებია. მოყვარული მუსიკოსები 1959 წელს ბოლნისელმა კოლორიტმა ზაურ ხუჯაძემ შეკრიბა და ფოლკლორული ანსამბლი „სიონი“ დააარსა. დიდი ენერგიით და ენთუზიაზმით აგროვებდნენ ხალხში გაბნეულ ქართული მრავალხმიანი სიმღერის მარგალიტებს, მუშაობდნენ ძველი სიმღერების აღდგენაზე. ანსამბლი, წლების მანძილზე, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გამართულ ღონისძიებებზე. როგორც ბატონი ვაჟა გვიამბობს, რამდენჯერმე დაიშალა ანსამბლი, თუმცა დაახლოებით 15 წელია უწყვეტად ფუნქციონირებს, გულდაწყვეტილი იხსენებს ანსამბლის იმ წევრებსაც, რომლებიც გამოაკლდათ, დღეს შედარებით ცოტა არიან, თუმცა ბაბუებს ახალგაზრდა თაობა დაემატა. „რაც ასაკში შევდივარ, ვგრძნობ, რომ ანსამბლის წევრების გარეშე არ შემიძლია, სიყვარულით ვაკეთებთ საქმეს, რომელიც ასე ძალიან გვიყვარს ყველას. წლების მანძილზე ენთუზიაზმით ვმუშაობდით, დღეს ანაზღაურება გვაქვს, არ ტარდება ბოლნისში ღონისძიება ჩვენმა ანსამბლმა რომ არ იმღეროს, სადაც არ უნდა ვიყო, რეპეტიციებზე არასდროს ვაგვიანებ და იგივე შემართებით ვარ. ამჟამად, ანსამბლს დავით ყაველაშვილი ხელმძღვანელობს, ადამიანი, რომელიც მუდმივად ძიებაშია, მუშაობს ძველი სიმღერების აღდგენაზე, დიდ შრომასა და ძალისხმევას დებს, ვიტყვი ხმამაღლა, რომ ის შესანიშნავი ადამიანია და ეკუთვნის საპატიო მოქალაქის წოდება. ანსამბლი 60 წლის ხდება და ვაპირებთ ღონისძიების მოწყობას, ახალი სიმღერებით წარვსდგებით საყვარელი თანამოქალაქეების წინაშე“.

ცხოვრებაზე შეყვარებული ვაჟა ახვლედიანი ბედნიერია, ამბობს კაცმა ისე უნდა იცხოვროს, რომ უკან მოხედვის არ შერცხვესო, დღემდე ოჯახს ერთგულად უდგას გვერდში, ჰყავს მეუღლე ნათელა ახვლედიანი, სამი შვილი, შვიდი შვილიშვილი და ოთხი შვილთაშვილი. „ბედნიერი კაცი ვარ, კარგი ოჯახი მაქვს, პატიოსანი შვილები, შვილიშვილები, მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, ვინც ჩათვალა, რომ ვარ ღირსი ვიყო „ბოლნისის საპატიო მოქალაქე“.

მაგდა დევნოზაშვილი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის 27 წარჩინებულ მოსწავლეს პერსონალური კომპიუტერი გადაეცა

მოსწავლეებს, რომლებმაც საბაზისო კურსი უმაღლესი შეფასებით დაასრულეს, საჩუქრად პერსონალური კომპიუტერები გადაეცათ, ქვემო ქართლის მასშტაბით 287 წარჩინებულს შორის 27 ბოლნისელი მოსწავლეა. დაჯილდოების ცერემონიალში, რომელიც 22 ოქტომბერს ჩატარდა, მონაწილეობდნენ ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

ღონისძიებას საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ხელმძღვანელი პირები, საჯარო სკოლის დირექტორები, პედაგოგები და მოსწავლეები დაესწრნენ.

პროექტი "ჩემი პირველი კომპიუტერი", საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით ხორციელდება, რომლის მიზანი მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდების გაძლიერებაა.

ცხოვრება ის სქემა და ცხრილია, რასაც ქარგვის დროს ვიყენებთ

ჩვენს ირგლივ არსებობენ ადამიანები, რომელთა შემოქმედებისა და ზებუნებრივი ნიჭის შესახებ, სამწუხაროდ, საზოგადოების მცირედმა ნაწილმა თუ იცის. სწორედ ასეთ კატეგორიას მიეკუთვნება ჩვენი თანამოქალაქე (80 წლის) ლუსინე აგარონიანი-კირვალიძე, რომელიც 7 ათეული წელია, ფერთა გამის შესანიშნავი შერწყმით, მაღალი ოსტატობით, ინდივიდუალიზმითა და უმაღლესი გემოვნებით ქარგავს. მისი მრავალფეროვანი გალერეა სისადავითაა გამორჩეული, კანვეს ტექსტურაზე აბრეშუმის ძაფები დამთვალიერებელზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. მის ნამუშევრებში განსაკუთრებული ადგილი რელიგიურ თემატიკაზე შექმნილ ფრაგმენტებს უკავია, რომლებსაც ქალბატონი ლუსინე სათუთად უვლის, ინახავს და მისთვის საყვარელ ადამიანებს, განსაკუთრებული შემთხვევებისთვის, ჩუქნის. მაცხოვარი, ღვთისმშობელი, ყრმა იესოს გამოსვლა იერუსალიმიდან, წმ. სერაფიმ საროველი და სხვა მრავალი რელიგიური პერსონაჟი, რომელიც მისთვის უნიკალური და გამორჩეულია, რადგან თვლის, რომ მათი ქარგვისას, რაღაც განსაკუთრებულს შეიგრძნობს და პასუხისმგებლობაც თითოეულ ექსპონატზე ზედმეტად დიდი აქვს. თითო ნამუშევარზე ქალბატონი ლუსინე თითქმის მთელი წელი მუშაობს, სრულყოფილ ნაქარგამდე, გამოჰყავს ცხრილი, ითვლის უჯრებს, ტილოზე ჯერ ფანტაზიით ქარგავს, შემდეგ კი საქარგავი რგოლით, მოხერხებული ნემსითა და აბრეშუმის ფერად-ფერადი ძაფებით ნამდვილ სასწაულს ახდენს. ეს ქალბატონი გამორჩეული იმითიცაა, რომ საინტერესო ნაქარგების შექმნა მარცხენა ხელითაც ზუსტად იგივე ოსტატობით და მოხერხებით შეუძლია, როგორც მარჯვენით. ქარგვა 15 წლის ასაკში დაიწყო, 50-მდე ნამუშევარში, რომელიც ამჟამად სახლში აქვს, შეხვდებით ყველა დროის პოპულარულ მუსიკოსსა და კინოვარსკვლავს, ნატურმორტებს, ქალაქის პეიზაჟებს, წმინდანებს, ცნობილ პერსონაჟებს ფილმებიდან და ცხოველებს. ტილოები ერთმანეთზე სათუთად აქვს გადახვეული და პოლიეთილენის პარკში ინახავს. მოახერხა და სადა ჩარჩოები მხოლოდ წმინდანებისთვის შეიძინა, რომ ნაქარგები მეტად დაცული იყოს. ნანობს, რომ ნამუშევრები ერთ უჯრაში აქვს შენახული და მას ფართო მასებს ვერ სთავაზობს, თუმცა ადგილობრივი კულტურის სახლის დახმარებით, რამდენჯერმე გაიტანა გამოფენაზე.

ქალბატონი ლუსინე, მძიმე სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, რომლის ოჯახიც მხოლოდ საპენსიო თანხით შემოიფარგლება, ელის იმ დღეს, როდესაც მის პირად ანგარიშზე პენსია ჩაირიცხება და კარგა ხნის წინ დაწყებული ნაქარგისთვის, აბრეშუმის ფერად-ფერად ძაფებს შეიძენს.

საუკუნე მიტანებული ქალბატონი დღესაც იმ შემართებით ქარგავს, როგორც უწინ, ასაკისა და უამრავი საოჯახო საქმის მიუხედავად, ყოველთვის გამონახავს დროს და მყუდროდ მოკალათებული, მისთვის საყვარელ ხელსაქმეს შეეექცევა. ქარგვის სურვილი აისზეც გასჩენია ამბობს, რომ ეს სურვილი იმდენად მძაფრია, კარგავს დროის შეგრძნებას. თუმცა ერთ ტილოს ნახევარ წელს, ან მეტს ანდომებს, „ნაჩქარევი არაფერი ვარგა, ჯერ ფიქრსა და გონებაში ვამუშავებ, გამომყავს სქემა, ვითვლი, ვარჩევ ფერებს, ხან მხოლოდ შავ-თეთრსაც და ვიწყებ, ნახეთ მარლენ დიტრიხი შავ-თეთრშია, მაგრამ როგორი უნაკლოა, ან ეს მაცხოვარი, როგორი სადა და გამორჩეულია“ - მართლაც, მისი ნაქარგები რაღაც განსაკუთრებულია, თითქოს ავტორმა მას სულის ნაწილი გაუზიარა. „ასეა, სული და გული თუ არ ჩადევი, არ გამოგივა, მე თვითონ არ მომწონებია, თუ რამე უგულოდ დამიწყია, დამიშლია ან მარტივად მიმიტოვებია, ძნელია გაფუჭებული



საქმის გამოსწორება, ცხოვრებაც ხომ ასეა, ადამიანმა უნდა ეცადო და გამოუსწორებელი შეცდომა არასოდეს დაუშვა, ცხოვრება ის სქემა და ცხრილია, რასაც ქარგვის დროს ვიყენებთ, უნდა ვიფიქრო, ვიმსჯელო, ათასჯერ ავწონ-დავწონო და დავიწყო, ამიტომ საქმისთვის, გული და სული არ უნდა დაიშურო“.

ქალბატონი ლუსინე კითხულობს ძალიან ბევრს, ეს ნამუშევრებშიც მკაფიოდაა ასახული, თუმცა გაუჭირდა საყვარელი წიგნისა და მწერლის დასახელება, ასევე გაუჭირდა გამოერჩია მისთვის საყვარელი ნაქარგი. თუმცა ელის იმ დღეს, როდესაც მისი ნამუშევრებით ვინმე დაინტერესდება და მსურველი მის ტილოებს შეიძენს. ესეც მხოლოდ იმისთვის, რომ დარჩენილი ნაქარგები ჩასვას ჩარჩოში, შეიძინოს აბრეშუმის ძაფები და მისთვის განუყოფელი ხელსაქმე, მომატებულ წლებთან ერთად, ახალი იდეებითა და შემართებით გააგრძელოს.

მარინა გავაშელი

მუნიციპალიტეტის მერი საუკეთესო მასწავლებლის კონკურსში გამარჯვებულებს შეხვდა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა, „ქართული, როგორც მეორე ენა“ საუკეთესო მასწავლებლის კონკურსის გამარჯვებულს ლალი დალაქიშვილი-ასლამაზაშვილს და დაბა კაზრეთის №2 საჯარო სკოლის პედაგოგს, ინგლისური ენის საუკეთესო მასწავლებლის კონკურსის გამარჯვებულს, ქვეყნის მასშტაბით წარმატებულ პედაგოგთა ხუთეულის წევრს, ია ნიქაბაძეს უმასპინძლა.

დავით შერაზადიშვილმა პედაგოგები, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საუკეთესოდ წარმოჩენისთვის, წარმატებული პედაგოგიური მიღწევებისა და მოსწავლეთა განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, მადლობის სიგელებით დააჯილდოვა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

„საუკეთესო მასწავლებლის კონკურსი ჩვენი განათლების სისტემისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, რადგან ეს საშუალებას აძლევს პედაგოგებს თავიანთი უნარები და გამოცდილება ფართო მასებს გააცნონ. ქალბატონი ლალი დალაქიშვილი-ასლამაზაშვილი ყოველთვის გამოირჩეოდა ინოვაციური სწავლების მეთოდებით, ამის ნათელი დასტურია „ქართულის, როგორც მეორე ენის“, საუკეთესო მასწავლებლად დასახელება. მისი მოღვაწეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ის ქართულს ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსწავლეებს ასწავლის და ამით სახელმწიფოებრივ საქმეს აკეთებს. ამიტომ, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო მას, მუდმივი პროფესიული ზრდისა და ბოლნისში ქართული ენის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის. ბოლნისის მუნიციპალიტეტი „საუკეთესო მასწავლებლის კონკურსში“ ჩვენმა პედაგოგებმა დიდად ასახელეს. ქალბატონი ია ნიქაბაძე საუკეთესო ინგლისური ენის პედაგოგების ხუთეულის წევრია, რაც ძალიან სასიხარულოა. ჩვენ დასავლურ სივრცეში ისტორიული ადგილის დაბრუნებას ვცდილობთ და ინგლისური ენის ცოდნა კი ამ პროცესს უფრო მეტად შეუწყობს ხელს, ამიტომ, ია ნიქაბაძის როლი მუნიციპალიტეტის განათლების სფეროში, ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ პედაგოგების შრომა დავაფასოთ, რადგან მიგვაჩნია, რომ განათლება ქვეყნის სიძლიერის, განვითარებისა და გაერთიანების ყველაზე ეფექტური და მყარი საძირკველია“, – განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა

დავით შერაზადიშვილმა.

ლალი დალაქიშვილი-ასლამაზაშვილი, სოფელ ქვემო ბოლნისის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი:

-ვფიქრობ, პედაგოგებისთვის მართლაც მნიშვნელოვანია ყურადღება, საერთოდ პედაგოგი ჯილდოებისთვის არ უნდა იღვწოდეს, მაგრამ როდესაც გარკვეულ ეტაპზე მის შრომას დაინახავენ და დააფასებენ, ეს ნამდვილად კარგი და სასიამოვნოა.

ია ნიქაბაძე, დაბა კაზრეთის №2 საჯარო სკოლის პედაგოგი:

– როდესაც მოსწავლეების წინ დგახარ მეტად საპასუხისმგებლოა, ამიტომ ბევრი შრომა და მუშაობა ესაჭიროება მასწავლებელს. ჩემთვის, როგორც პედაგოგისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია როგორც შედეგი, ისე მონაწილეობა. პედაგოგი მაგალითს უნდა აძლევდეს მოსწავლეებს.

რატომ არ ებმება ობობა თავის ქსელში - „მარტივ კითხვებს“ ამირან მეგრელიძე პასუხობს

„მარტივი კითხვების“ სტუმარია სურსათის ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს ბოლნისის ოფისის ხელმძღვანელი ამირან მეგრელიძე, რომელიც დაიბადა 1972 წელს. ქ. ბათუმში, ჰყავს მეუღლე და სამი შვილი, ცხოვრობს თბილისში.

-საკმაო დროა გასული, რაც ბოლნისის ოფისში მუშაობთ და უამრავი ადამიანი გიცნობთ, თუმცა ბევრმა არ იცის, ვინ არის ამირან მეგრელიძე, აქვს თუ არა იუმორი, არის თუ არა უშუალო ადამიანი და ა.შ. დამეთანხმებით, რომ დეტალები ადამიანის პიროვნულ თვისებებს უსვამს ხაზს. ჩვენი რუბრიკის აზრიც ესაა, რომ ინტელექტთან ერთად, გავიგოთ როგორი თვისებების მატარებელია პიროვნება. მოდი დავიწყოთ კითხვების დასმა. სიცოცხლე ყველას გვიყვარს და საინტერესოა, რა იქნება სიცოცხლის მთავარი ერთეული წყალი თუ უჯრედი?

-ალბათ წყალი, რადგან უწყლოდ არც უჯრედი იქნება.

-არა, უჯრედია.

-ამ შემთხვევაში უჯრედს არ აქვს მნიშვნელობა ჩემთვის, რადგან წყალს ვხედავ და უჯრედს ვერა.

-ამომავალი მზის ქვეყანას უწოდებენ, უძკვიანესი ხალხის ქვეყანაა.

-იაპონია ალბათ, მაგრამ ადრე რუსეთიდან ამოდიოდა მზე, ძველად აზიიდან. ჩემთვის ყველაზე მაგარი ქვეყნებია შვედეთი, ნორვეგია, დანია, ასეთი ქვეყნები მომწონს. იაპონიაზე არ ვგიჟდები.

-ნაპოლეონზე რას მეტყვით?

-როგორც პიროვნება არ მომწონს, იმიტომ, რომ ბევრი სისხლია მის კისერზე, მაგრამ როგორც მხედართმთავარი, კარგი მმართველი იყო.

-ნაწილობრივ გეთანხმები, მაგრამ ამაზე ჩემი შეხედულება მაქვს. რა ერქვა მის საყვარელ ქალს, რომელიც მისი მეუღლე გახდა?

-მეუღლე?

-კი. ნამცხვარსაც გვიცხობდნენ ბავშვობაში ამ სახელით.

-აა, ჟოზეფინა.

-მართალია, ჟოზეფინა. რა ერქვა სტამბულს წარსულში?

-კონსტანტინოპოლი.

-რა გავლენას ახდენს წყლის ადუღებაზე მარილი?

-გვიან დუღდება წყალი.

-მართალია, რას აწარმოებდა წარსულში კომპანია „პეჟო“?

-„პეჟო“? მანქანებს არა ალბათ, რადგან ისე დასვი კითხვა.

-კი, მანქანებს შემდგომ აწარმოებდა.

-არ ვიცი.

-ყავას და წიწაკას თურმე.

-ვაა, შორს წასულან.

-საათები გიყვართ?

-კი. ძალიან.

-რომელ ქვას იყენებენ ხშირად საათების შიდა კონსტრუქციაში?

-აშკარად ჩემს აზროვნებას ამოწმებ, ალმასია ალბათ.

-არა, ყველაზე ძვირფასი წითელი ქვა.

-აჰა, გასაგებია, ლალი.

-კი, ლალი. რა ერქვა პირველ კლონირებულ ცხვარს?

-დოლის ცხვარი.

-ერთადერთი ორგანო, რომელიც ჟანგბადს პირდაპირ ჰაერიდან იღებს და არა სისხლის მიმოქცევით, არის?

-შინაგანი ორგანოა თუ გარეგანი.

-გარეგანი, უფრო.

-ცხვირი.

-არა, თვალია.

-არ ვიცოდი.

-დარიშხანი, ოპიუმი და გველის შხამიც კი არ წამლავს, რა იქნება? ვირთხა, ღამურა, ზღარბი, ბუ. მინიშნება მულტფილმების გმირია ხშირად, ვაშლებიც უყვარს.

-ზღარბი?

-კი, ზღარბია.

-არაფერი კლავს, ყოჩაღ მაგას.

-ჩუპა-ჩუპსი ყველამ ვიცით, მისი რეცეპტის ავტორი თუ გახსოვს, ცნობილი მხატვარია?

-სად იყო ჩუპა-ჩუპსი ჩემს ბავშვობაში, დონალდო და პედრო ციგნებთან ძლივს იშოვებოდა. შესაბამისად, არ ვიცი ავტორიც.

-დალის შეუქმნია ეს შედევრი.

-უყურე შენ დალის.

- თუ მთვარეზე გაემგზავრები შენი წონა იმატებს თუ მოიკლებს?

- რაც ვარ ის დავრჩები, ლოგიკურად.

-ნამდვილად ასეა. რჩები ისევ იმ წონაზე რაც ხარ. ობობას ქსელი ყველას გვინახავს მასში გაბმული უამრავი მწერიც, თავად ობობა თუ გინახავს თავის ქსელში?

-მგონი არა. არ მინახავს.

-რატო?

-თავისია და მაგიტომ. მისი იარაღია და თავის თავს ხო არ ესვრის.

-კი, იარაღი ნამდვილად არის, მაგრამ არ დადის წებოვან ქსელზე, თუ გადაივლის გაებმება თვითონაც.

-რა საინტერესოდაა შექმნილი ობობა.

-კი. გეთანხმები, ნამდვილად. რომელია ყველაზე დიდი რომანი მსოფლიოში, რომელიც 27 ტომად გამოიცა ფრანგულ ენაზე?

-რა იყო ამისთანა, არ ვიცი.

-„კეთილი ნების ადამიანები“ ჟიულ რომენის წიგნია.

-რომელ ენაზე არაა თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ სომხური, მოლდავური, მონღოლური, ინდური?

-სომხებმა რომ დაწერეს ვიცი, მოლდოვური და მონღოლურიც იქნება, რადგან ლოგიკურად ასე ვფიქრობ, დარჩა ინდური.

-სწორედ მსჯელობ ასეა.

-რა ვუთხარი ინდოელებს, როგორ უნდა აჯობონ სომხებმა ყველაფერში.

-სიტყვა „ერისიონი“ სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით ნიშნავს?

-ალბათ, რამე გაცისკროვნებულს, ან ერს და სიონს, არ ვიცი ზუსტად.

-ახლოს ხარ, ცისიერს ანუ მთის თავს ზემოთ ცას.

-დავასრულეთ, მადლობა, კარგად ვიხალისეთ, თუ სურვილი გაქვთ შემდგომი სტუმარი დაასახელეთ.

-ლია ბეჟანიშვილს ვასახელებ და იმედი მაქვს, უფრო სახალისოდ ჩაწერს ინტერვიუს.

-დიდი მადლობა.

დარეჯან ოქრუაშვილი

ძიუდოს დარბაზში ჩატარდა საქართველოს შიტო კაი კარატე-დოს რიგით X ჩემპიონატი „ბოლნისის თასი“

2019 წლის 26 ოქტომბერს ბოლნისში, მურმან ჯაფარიძის სახელობის ძიუდოს დარბაზში ჩატარდა საქართველოს შიტო კაი კარატე-დოს რიგით X ჩემპიონატი ბავშვებს, მოზარდებს, კადეტებს, იუნიორთა და ახალგაზრდებს შორის სახელწოდებით „ბოლნისის თასი“.

საქართველოს ჩემპიონატი კუმიტეში გოგონებსა და ვაჟებს შორის ჩატარდა საერთაშორისო კარატეს ფედერაციის წესდებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 150-ზე მეტმა ნორჩმა სპორტსმენმა.

აღნიშნულ პირველობაზე საკმაოდ კარგი შედეგები უჩვენეს ბოლნისის სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსთან არსებულ სპორტულ კლუბ „სიონის“ ნორჩმა სპორტსმენებმა, კერძოდ:

I ადგილი - 54 კგ წონით კატეგორია ნინო ახობაძე ;

I ადგილი - 38 კგ.წონით კატეგორია დავით ჯანაძე;

II ადგილი - 48 კგ. წონით კატეგორია მარიამ უგრეხელიძე;

II ადგილი - 39 კგ.წონით კატეგორია ვენერა ახობაძე;

II ადგილი - 32 კგ. წონით კატეგორია ანა სულწაძე;

II ადგილი - 32 კგ. წონით კატეგორია გიორგი ზამოიანი

III ადგილი - 49 კგ. წონით კატეგორია ნიკოლოზ დანელია;

III ადგილი - 71 კგ. წონით კატეგორია დავით კვიციანი.

აღსანიშნავია, რომ ბოლნისის ნაკრებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში მოიპოვა მესამე საპრიზო ადგილი, ხოლო ჩემპიონატის გამარჯვებული და „ბოლნისის თასის“ მფლობელი გახდა თბილისის კლუბი „ოდიში“.

საქართველოს პირველობაზე გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ საქართველოს კარატეს ფედერაციის მედლებით და დიპლომებით.

ბოლნისის ნორჩ კარატისტთა გუნდი ჩემპიონატისთვის მოამზადეს მთავარმა მწვრთნელმა ავთანდილ ჩხეტიანმა, მწვრთნელებმა ცეზარ კვირიკაშვილმა, ძმებმა თორნიკე და ლაშა ჩხეტიანებმა.

გრიპის სეზონი და მიმდინარეობა საქართველოში

გრიპი მწვავე ვირუსული დაავადებაა, რომელიც ადვილად გადაეცემა ადამიანიდან ადამიანს, იგი ცირკულირებს მთელს მსოფლიოში და იწვევს ეპიდემიებს. მას აქვს უნარი დააინფიციროს ადამიანები ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფში. სეზონურ ეპიდემიებთან ერთად, გრიპის ახალი ქვეტიპის აღმოცენებისთანავე შესაძლებელია გრიპის პანდემიის დაწყება.

გრიპი ადვილად მოგზაურობს. ჩვეულებრივ, ჰაერის საშუალებით ვრცელდება დახველების ან დაცემინებისას, ასევე დაბინძურებული ხელებით. ადამიანებმა შესაძლებელია გაავრცელონ გრიპის ვირუსი ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გაიგებენ რომ ავად არიან, რომელიმე სიმპტომის გამოვლენამდე ერთი დღით ადრე და შემდგომი 5-7 დღის განმავლობაში.

როგორც წესი, გრიპის შემთხვევების უმეტესი რაოდენობა ყოველგვარი სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების გარეშე მთავრდება გამოჯანმრთელებით. თუმცა, გრიპი ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია გართულდეს, უფრო იშვიათად კი - გამოიწვიოს ლეტალური გამოსავალიც კი.

გრიპი იწყება უეცრად, მაღალი ტემპერატურის ფონზე გამოხატული ინტოქსიკაციითა და ზემო სასუნთქი გზების დაზიანებით.

გრიპის ძირითადი სიმპტომებია:

- მაღალი ტემპერატურა (380 C მეტი);
- თავის, კუნთებისა და სახსრების ტკივილი;
- საერთო სისუსტე;
- ხველა;
- ყელის ტკივილი;
- შემცივნება;

იშვიათად დიარეა და პირღებინება.

გრიპის შემთხვევათა ძირითადი რაოდენობა სრულად გამოჯანმრთელდება ერთი კვირის თავზე. იშვიათ შემთხვევაში შესაძლოა გრიპი გართულდეს და კიდევ უფრო იშვიათად გამოიწვიოს ლეტალური გამოსავალიც.

გრიპის ძირითად გართულებად ითვლება პნევმონია (ფილტვების ანთება), შედარებით იშვიათია შუა ყურის ანთებითა და თანმხლები ქრონიკული დაავადებების გამწვავებით გამოწვეული გართულებები.

გრიპის ვირუსის გართულების რისკ-ჯგუფში იმყოფებიან: გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი სისტემისა და სხვა ქრონიკული დაავადების მქონენი, ონკოლოგიური პაციენტები, შაქრიანი დიაბეტით დაავადებულნი, ბავშვები, ხანდაზმულები და ორსულები.

იმ შემთხვევაში, თუ გრიპის სიმპტომების ფონზე დაავადებულს აღენიშნება:

სუნთქვის გართულება, ქოშინი, ტკივილი გულმკერდის არეში, ცხვირ-ტუჩის მიდამოს გალურჯება, სისხლიანი ნახველი, მე-3 დღის შემდგომ ტემპერატურის მატების ტენდენცია - სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს.

ადამიანიდან ადამიანზე გრიპის ვირუსის გადაცემა დაავადებული ადამიანის ხველის ან ცემინების დროს ხდება (დაავადებული ადამიანის ხველისა და ცემინებისას გამოტყორცნილი წვეთებით ვირუსი ვრცელდება ჰაერში, რაც ჯანმრთელთა დაავადების მიზეზია); ადამიანი ასევე შეიძლება დაავადდეს გრიპის ვირუსით დაბინძურებულ ზედაპირებთან ხელით შეხების შემდეგ, რადგან, ზედაპირებზე მოხვედრილი გრიპის ვირუსი დაინფიცირების უნარს 2-8 საათის განმავლობაში ინარჩუნებს.

გართულებების განვითარების რისკ- ჯგუფებს მიეკუთვნებიან:

- გულისა და სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადებით შეპყრობილნი;
- დიაბეტით დაავადებულნი;
- მცირე და ხანდაზმული ასაკი;
- ორსულები

გრიპით გამოწვეული გართულებების თავიდან აცილების მიზნით, რეკომენდებულია: დაავადებულებმა დაიცვან წოლითი რეჟიმი და ისეთი სიმპტომების გამოჩენისას, როგორიცაა:

- სუნთქვის გაძნელება;
- ქოშინი;
- ციანოზი;
- ტკივილი გულმკერდის არეში;
- სისხლიანი ან მოვარდისფრო ნახველის გაჩენა;
- გახანგრძლივებული (3 დღეზე მეტი) მაღალი ცხელება (38 გრადუსზე მეტი);
- ბავშვებში - ღებინება ან ყლაპვის გაძნელება, კრუნჩხვები

სასწრაფოდ მიმართონ ექიმს, სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით.

გრიპის გართულების თავიდან აცილების მიზნით, დაავადების პირველი ნიშნების გაჩენისთანავე, სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების მიწოდება რეკომენდებულია იმ ადამიანებისთვის, რომელთაც აქვთ:

- გულისა და სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადებები;
- დიაბეტით არიან დაავადებულნი;
- არიან მცირე და ხანდაზმულ ასაკში;
- არიან ორსულად.

როგორ შევაჩეროთ გრიპის გავრცელება

გრიპის ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებად აღიარებულია გრიპის საწინააღმდეგო სეზონური ვაქცინაცია.

გრიპის ფართო გავრცელებისას რეკომენდებულია არაპირდაპირი დაცვის საშუალებების გამოყენება, კერძოდ:

- უმჯობესია დაავადებული ადამიანები დარჩნენ სახლში: ამით დაიცავენ თავს მოსალოდნელი გართულებისგან, ხოლო საზოგადოებას - დაავადების გავრცელებისგან;
- ჯანმრთელებმაც და დაავადებულებმაც შეძლებისდაგვარად ხშირად დაიბანონ ხელები საპნით და გამდინარე წყლით, რათა შემცირდეს ხელით ვირუსის გადატანის შესაძლებლობა;
- რაც შეიძლება ხშირად გაანიავეთ საცხოვრებელი ადგილი და ;
- გამოიყენეთ სველი წესით დალაგება;

თუ გაქვთ გრიპის სიმპტომები - დარჩით სახლში, ტემპერატურის დარეგულირებიდან შემდგომი 24 საათის განმავლობაში;

- იმ შემთხვევაში თუ დაავადება მიმდინარეობს მძიმედ და უჩვეულოდ ან დაავადებული მიეკუთვნება გრიპის გართულების მაღალი რისკის ჯგუფს, სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს, სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების მისაღებად.

ნარდის ღია ტურნირი ბოლნისში პირველად ჩატარდა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს ნარდის ასოციაციის ორგანიზებით, ზაურ ხუჯაძის სახელობის სკვერში, ნარდში ღია ტურნირი ჩატარდა. 120-მა მონაწილემ გრძელ და მოკლე ნარდში, ასევე დარტსის სროლაში იასპარეზეს. ტურნირში მონაწილეობა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმაც მიიღო. გამარჯვებულები, მერიის მიერ, სხვადასხვა პრიზითა და ფულადი ჯილდოთი დაჯილდოვდნენ.

I ადგილის მფლობელს - 200 ლარი, II ადგილზე გასულს - 150, ხოლო III და IV ადგილის მფლობელებს 75 ლარი გადაეცათ. პირველ ადგილზე გასულმა გიორგი მათეშვილმა, მოგებული თანხა მრავალშვილიან ოჯახს გადასცა.

ღონისძიების მხარდამჭერები არიან ბოლნისის ღვინის ქარხანა და არაოლიმპიურ სპორტის სახეობათა ოლიმპიური კომიტეტი.

საპრიზო ადგილები ასე გადანაწილდა : I -ადგილი გრძელ ნარდში, გიორგი მათეშვილმა აიღო. II- ადგილი ფახრადინ კულიევმა, ხოლო III-IV ადგილები მერაბ სივსივემ და კობა გაბიძაშვილმა აიღეს. მოკლე ნარდში: I- ადგილი რომან ლაზარეშვილმა, II-ადგილი ზალიკო ბერუაშვილმა, III-IV ადგილები ბიძინა ხუციშვილმა და ეთმაზ ბაირამოვმა აიღეს. დარტსის სროლაში: I-ადგილი ნინო კვირიკაშვილმა, II-ადგილი ნუკრი ფოცხვერაშვილმა, III ადგილი თეონა აბრამიშვილმა დაიკავა.

„მოხარული ვარ, რომ ბოლნისმა ნარდში ღია ტურნირს პირველად უმასპინძლა. ამ სპორტულმა აქტივობამ საშუალება მოგვცა ბოლნისის ცენტრში ყველა თაობის, ასაკისა და ეროვნების ბოლნისელი შევკრებილიყავით და ნარდის საშუალებით ერთი ლამაზი დღე გაგვეტარებინა. ნარდი გამორჩეული თამაშია, რადგან ის სპორტული ჟინის დაკმაყოფილების გარდა, ადამიანების დამეგობრებასა და დაახლოებას უწყობს ხელს. ბოლნისის ღია ტურნირის მიზანიც სწორედ ეს იყო, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი თანამოქალაქეების ჩვენს საზოგადოებაში ინტეგრაცია. ვფიქრობ, ამ მიზნების განხორციელებისთვის კიდევ ერთი ქმედითი ნაბიჯი გადავდგით. მინდა ტურნირის გამარჯვებულსა და პრიზიორებს კვლავ არაერთი წარმატება ვუსურვო“ , - განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

ღვაწლმოსილ პედაგოგებს საზეიმო გაცილება მოუწყვეს

სევდანარევი, ამაღელვებელი და სიყვარულით სავსე სიტყვებით გააცილეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის 145 პრაქტიკოსი პედაგოგი, რომლებიც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივას შეუერთდნენ, სკოლა დატოვეს და გზა ახალ თაობას დაუთმეს. ბოლნისის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს ინიციატივით, ღვაწლმოსილ პედაგოგებს გამოსამშვიდობებელი საღამო მერიამ მოუწყო. ,,მადლიერების საღამო''-ერქვა კულტურულ ღონისძიებას, სადაც ხელისუფლების წარმომადგენლებმა ღვაწლმოსილი პედაგოგების დამსახურებაზე

ისაუბრეს და გაწეული მრავალწლიანი შრომისთვის მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადეს.

„ყველა განვითარებული სახელმწიფოს წარმატების ფორმულა განათლებაშია. ჩვენი ქვეყანა ცსწორედ განათლებაში ინვესტირებით ცდილობს გაუთანაბრდეს ევროპულ სახელმწიფოებს. ის, რომ დღეს ჩვენ ამ კუთხით რეგიონის მოწინავე ქვეყანა ვართ, სწორედ ამ ადამიანების დამსახურებაა, პედაგოგების, რომლებმაც შეძლეს ქვეყნისთვის არაერთი პროფესიონალი, კეთილსინდისიერი და კარგი მოქალაქე აღეზარდათ. ამ ადამიანებმა, წარუშლელი კვალი დატოვეს ბოლნისზე და ამას ჩვენ არასდროს დავივიწყებთ. საამაყოა, ის ფაქტიც რომ მათ ახალი თაობის მასწავლებლებს საშუალება მისცეს თავიანთი უნარები წარმოეჩინათ, ეს უდაოდ ღირსეული და სამაგალითო საქციელია. მინდა ჩვენი მუნიციპალიტეტის განათლების სფეროს განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მადლობა გადავუხადო თითოეულ მათგანს. მწამს, რომ პედაგოგიური კარიერის დასრულების მიუხედავად, ჩვენი შვილებისთვის გამოცდილებასა და რჩევების გაზიარებას არ დაიზარებენ და ამით ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის საქმეში კვლავაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ“ , - განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

საგანმანათლებლო სფეროში ნაყოფიერი საქმიანობისთვის, საქართველოს პარლამენტის წევრმა ბოლნისის მაჟორიტარმა, მუნიციპალიტეტის მერმა, საკრებულოს თავმჯდომარემ და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა პედაგოგებს მადლობის სიგელები და თაიგულები გადასცეს, ღონისძიებას ბოლნისის მუნიციპალიტეტის განათლების , კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი უძღვებოდა. საღამოს სპეციალურად მოწვეული მუსიკალური ჯგუფი ,,ალილო'' და მომღერალი ციური მჭედლიძე ალამაზებდნენ.

განათლების რეფორმის ფარგლებში, საპენსიო ასაკს მიღწეულმა მასწავლებლებმა, რომლებმაც ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე პროფესიიდან გასვლა გადაწყვიტეს, 2019 წელს სახელმწიფოსგან ერთჯერადად ფულადი ჯილდო – ორი წლის ჯამური ხელფასი და სიცოცხლის ბოლომდე, ჯანმრთელობის

დაზღვევა მიიღეს.

,,ამ ლამაზ ღონისძიებას თან ახლდა სევდანარევი სიხარული. აღსანიშნავია, რომ ამ ადამიანებს შორის სამი ჩემი ყოფილი მასწავლებელია, რომლებსაც ძალიან დიდი ღვაწლი აქვთ ჩემს აღზრდაში.

მრავალწლიანი საქმიანობისთვის მადლობის სიგელები გადავეცით თითოეულს და წარმატებები ვუსურვეთ.

ამ პედაგოგებს ბოლნისში, ძალიან ბევრი თაობა ჰყავთ აღზრდილი. ვეცადეთ დღევანდელი დღით სიხარული მიგვენიჭებინა მათთვის.

მნიშვნელოვანია ის დამოკიდებულება რომელიც ბოლო პერიოდში ჩამოყალიბდა. ვფიქრობ, სახელმწიფოს მხრიდან ეს აღიარება

მათთვის მნიშვნელოვანია, ხოლო პრეცედენტი არის სტიმული მოქმედი და მომავალი პედაგოგებისთვის. სწორედ, პედაგოგებმა უნდა შეძლონ თაობების აღზრდა, რომლებიც შექმნიან ძლიერ საფუძველს ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის,"განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრმა გოგი მეშველიანმა.

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: ნინო კარგარეთელი
პასუხისმგებელი მდივანი: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: დარეჯან ოქრუაშვილი, მაგდა დევნოზაშვილი, ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი. სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.